არქიტექტურული ძეგლის
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

საცხოვრებელი სახლი
ვახტანგ გორგასლის ქუჩა №17
თბილისი



ახუნდოვის სახლ-მუზეუმი, ხედი ვახტანგ გორგასლის ქუჩიდან

ახუნდოვი მირზა ფათალი (1812-1878)). აზერბაიჯანელი მწერალი, განმანათლებელი, ფილოსოფოსი, აზერბ. დრამატურგიის ფუძემდებელი. 1834 წლიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა თბილისში. მუშაობდა მეფისნაცვლის კანცელარიაში აღმ. ენების თარჯიმნად. ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მოღვაწეებთან გრ. ორბელიანთან, გ. წერეთელთან, გ. ერისთავთან და სხვ. დაკრძალულია თბილისის ბოტანიკურ ბაღში. იქვე დგას მისი ძეგლი (მოქანდაკე კ. მერაბიშვილი) – თბილისი ენციკლოპედია, თბ., 2008, გვ.259.

შემსრულებელი –
ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
ივნისი
2010

საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობა

საპროექტო ობიექტი მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილში, **სეიდაბადში (ხარფუხში) მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ვახტანგ გორგასლის ქუჩა № 17 (ძველი თბილისის გამგეობა).**

ეს არის საცხოვრებელი სახლი სადაც ამჟამად მოქმედებს აზერბაიჯანული წარმოშობის გამოჩენილი თბილისელი პოეტის მირზა ფათალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმი. **განსაზღვრულია ამ ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის რესტავრაცია.**



აეროფოტო, 2007წ.

ვახტანგ გორგასლის ქუჩა იწყება მეიდნზე, გორგასლის ხიდთან და მიუყვება მტკვრის მარჯვენა ნაპირს დინების მიმართულებით ორთაჭალისკენ. განაშენიანებულია მხოლოდ ქუჩის სამხრეთი, კენტრიცხვებიანი მხარე. ქუჩის საპირისპირო მხარეს წარმოადგენს მტკვრის მარჯვენა სანაპირო.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

საპროექტო ობიექტი №217 არქიტექტურული ძეგლია

ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:
საცხოვრებელი სახლები – გორგასლის ქ.№№11,19,21,23;
ბანლეოლოგიური კომპლექსი – გორგასლის ქ. №9;

უბანში არსებული დანარჩენი ძეგლები არ აღიქმებიან საპროექტო ობიექტის თვალსაწიერზე

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

უბნის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება

სეიდაბადი-ხარფუხი თბილისის უძველესი უბანია. შუა საუკუნეების მანძილზე ეს უბანი თბილისის (კალას) გალავნიდან ღრმა ხევით (წავკისის წყალი) იყო გამოყოფილი და სახელი ტფილისი საკუთრივ მას ეწოდებოდა აქ არსებული ცხელი გოგირდიანი წყლების გამო. სეიდაბადი შეერქვა XVII ს-ში – როსტომ მეფის დროს აქ გადმოსახლებული სპარსელების – სეიდების გამო. XIX ს-დან ეს უბანი ხარფუხად მოიხსენიება.



1735 წ. ვახუშტის გეგმა

ბატონიშვილ ვახუშტის მიერ შედგენილ თბილისის 1735 წლის გეგმაზე დღევანდელი საპროექტო ტერიტორიის ადგილას, მტკვრის პირზე ბაღებია გაშენებული. ამ გეგმაზე წყვეტილი პუნქტირით დატანილია განჯის გზა.

1819წ. მოშალეს ნარიყალას ქვედა გალავანი და სეიდაბადი-ხარფუხი ქალაქს ადმინისტრაციულად შეუერთდა. ამ დროიდან (XIX ს-ის 30-იანი წწ.) ქალაქის მმართველობის მოთხოვნით უკვე აუცილებელი ხდება სახლების მშენებლობისთვის პროექტების შედგენა.



თბილისის გეგმა 1844წ.

ამ დროს უკვე ჩამოყალიბებულია აბანოს, საბაჟოს (გრიშაშვილის), (მექვაბეთა) ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩები და იწყება ხარფუხის ურბანული მოწესრიგება, თუმცა უბანს ჩამოყალიბებული სახე მხოლოდ XIX ს-ის ბოლოსთვის შეექმნა.

საპროექტო ტერიტორიის ზედა პერიმეტრზე, ამ დროს, მტკვრის პირია, მის უკანა მხარეს კი ვიწრო შესახვევი.

მირზა ფათალი ახუნდოვი საკუთარ სახლს 1840-იანი წლების ბოლოს აშენებს. ნაგებობა დასრულებულ სახეს 1850-60 წწ-ში იღებს.

– საპროექტო ტერიტორია



ამ პერიოდისთვის ამოავსეს წავკისის წყლის ხრამის ქვედა ნაწილი ხოლო სანაპიროს გასწვრივ გაიყვანეს ახალი ქუჩა, რომელსაც მიხეილ ვორონცოვის ქუჩა ეწოდა (გორგასლის ქუჩა). ამასთან დაკავშირებით მისი ერთ-ერთი შენობის კედელში ჩასვეს საგანგებო დაფა წარწერით: „ვორონცოვის ქუჩა გაიხსნა 1850 წ. მისი უმაღლესობის თავად მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის მეფისნაცვლად ყოფნის დროს“. ქუჩის მოწყობა მთლიანად დამთავრდა 1851. ქუჩის ორივე მხარე განაშენიანებული იყო ქარვასლებით, ჩაიხანებით და სხვ. (ენციკლოპედია თბილისი, გვ. 76)



ხარშული 1860-70-იანი წწ.



ხარშული XIX ს-ის დასასრული

XX ს-ის დასაწყისში უბანი უკვე ქალაქის განუყოფელი ნაწილია და დასრულდა ამ უბნის ურბანული სახით ჩამოყალიბების ერთი ეტაპი.

ამ დროს ვორონცოვის ქუჩის ორივე მხარე მჭიდროდ არის განაშენიანებული. ბანიანი სახლები აღარ შენდება. მათ ადგილს იკავებს თბილისური ტიპის აივნიანი სახლები, თავს იჩენს არქიტექტურული ელემენტებიც ფსევდოკლასიცისტური რეპერტუარიდან. ამგვარი ვითარებაა შენარჩუნებული XX ს-ის პირველ მესამედშიც. აქ ჩამოყალიბებულია წვრილსტრუქტურული ურბანული გარემო.

– ცვლილებები XX ს-ში

პირველი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება უბნის ამ მონაკვეთში XX ს-ის შუა ხანებში დაიწყო წვრილი ურბანული სტრუქტურების ერთგვარი „გამოხშირვით“ და ფართო სივრცითი არეების შექმნის გზით. ამ დროს აიღეს სახლები ყოფილ ვორონცოვის ქუჩაზე და გაიყვანეს ახალი სანაპირო ქუჩა, თუმცა უბანი ბოლომდე არ მოწესრიგებულა.

1950-იან წლებში გაგრძელდა მტკვრის სანაპიროს მშენებლობა. მეტეხის ახალი ხიდის აგების შემდგ (1951წ) კი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა გორგასლის ქუჩას და დასრულდა უბნის სტრუქტურული სახეცვლილების პროცესი, თუმცა უბნის საბოლოო მხატვრული სახე ჯერ კვლავ არ იყო ჩამოყალიბებული.

1970-იან წლებში დაიწყო უბნის ურბანული მოწესრიგების ბოლო ეტაპი. განხორციელდა შენობების რეკონსტრუქცია-რეგენერაცია და ქუჩათა ქსელის მოწესრიგება. რესტავრაცია ჩაუტარდა აბანოებსა და საცხოვრებელ სახლებს. მოხდა ფასადების განახლება და მოიხსნა ზედმეტი მინაშენები.

ყოველივე ამის შედეგად უბანმა მიიღო დღევანდელი ურბანული სახე და შეიქმნა ფართო სივრცითი არეები. უბნის არქიტექტურული ხედი გაიხსნა და გაშლილი პლანით წარმოჩინდა.



სეიდაბადი-ხარფუხი, ხედი ავლაბრიდან 2006 წ.

ამგვარად ეს ურბანული მონაკვეთი არის – ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ-გეგმარებით საფუძველზე XX ს-ის მეორე ნახევარში ჩატარებულ სარესტავრაციო-საადაპტაციო სამუშაოების პროდუქტი.

– სახლები საპროექტო ნაგებობის გვერდით









საპროექტო ნაგებობის გვერდით დგას ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, მათი სტრუქტურული ფორმები და მოცულობა ჩვეულია ამ უბნის ურბანული ქსოვილისთვის. ყველა ეს ნაგებობა არქიტექტურულ ძეგლებად არის აღრიცხული №13 სახლის გარდა.

საპროექტო სახლი №17

ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი №17 ჩართულია ქუჩის პერიმეტრულ განაშენიანებაში. ნაგებობა მარცხენა ყრუ კედლით მიდგმულია №19 ორსართულიან, აგურის შეულესავი წყობის საცხოვრებელ სახლზე. მარჯვენა კედელი გადის მეზობელ ეზოში. ნაგებობა თავდაპირველი სახით არ არის შემორჩენილი და ადაპტირებულია XX ს-ის ბოლოს. ამჟამად გათვალისწინებულია სახლი №17-ის რეაბილიტაცია.



სახლი №17, ხედი სანაპიროდან, 2010წ.



აეროფოტო 2006 წ.

ნაგებობის ისტორია

აგების თარიღი – XIX ს. III მეოთხედი, ოდნავ გადაკეთებულია XXს-ის II ნახ;

შემკვეთი – მირზა ფათალი ახუნდოვი;

არქიტექტორები – საგუბერნიო არქიტექტორ ბელოის თანაშემწე;

არქიტექტურული სტილი – კლასიცისტური სტილის საცხოვრებელი სახლი, თბილისური ტიპის აივნებიანი გალერეით ეზოს მხრიდან.

თავდაპირველი გეგმარება – ამ სახლის თავდაპირველად ჩამოყალიბებული ზოგადი სახის, გეგმარების და სამშენებლო ფენების დადგენა შესაძლებელია ძველი ფოტოებით და სხვა საარქივო მასალით. თავდაპირველად, 1846 წელს, აქ დაპროექტებული იყო დღევანდელი ნაგებობის აღმოსავლეთი ფლანგი - ოდნავ მოგვიანებით იგი გაერთიანდა გვერდით მდგომ მომცრო ზომის ორსართულიან ნაგებობასთან და მიიღო დღევანდელი სახე. იგი წარმოადგენდა მართკუთხა ორსართულიან საცხოვრებელ სახლს, ორ რიგად გამწკრივებულ ანფილადური ოთახებით მეორე სართულზე და ასევე ორ რიგიან სავაჭრო და სახელოსნო მოცულობებს პირველზე. ნაგებობას ჰქონდა აგურის წყობით გადაყვანილი კამარებიანი სარდაფები. სახლის ზედა ნაწილი ჩანს 1870-იან და მომდევნო წლების საარქივო ფოტოებზე.



სახლის ზედა ნაწილი ქუჩის მხრიდან, XIX ს-ის II ნახ



სახლის ზედა ნაწილი ეზოს მხრიდან XIX ს-ის II

სამშენებლო ფენები –

XIX ს. 40-იანი წწ. – თავდაპირველად აქ აშენდა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი სავაჭრო სათავსოებით პირველ სართულზე (დღეს არსებული სახლის აღმოსავლეთი ფლანგი).

XIX ს. 50/60-იანი წწ. – გაერთიანდა გვერდით (დასავლეთით) მდგომ ნაგებობასთან და სახლი წარმოჩინდა დღეს არსებული გაბარიტებით. ორთავე ნაგებობა მოექცა ორქანობებიან საერთო გადახურვაში.

XX ს. შუა ხანა – შეიმინა და ამოშენდა სახლის აივნების ნაწილი, გადაკეთდა ნაგებობის შუა მონაკვეთი. მცირედ შეიცვალა გეგმარება ინტერიერში.

XIX-XX სს-ის მიჯნა – ფასადზე ქუჩის მხრიდან მოეწყო ლითონის ახალი აივანი. ნაგებობაში ჩატარდა კაპიტალური რემონტი. მცირედ შეიცვალა გეგმარება ინტერიერში.

გეგმარება

ორიენტაცია – დასავლეთ-აღმოსავლეთის გრძივი მიმართულება;

რელიეფი – მოვაკებულია;

მეზობელი ნაგებობები – დასავლეთით ემიჯნება ეზოს სიღრმეში მდგომი მცირე, ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი. აღმოსავლეთით, XIX-XX სს-ის მიჯნის ორსართულიანი ნაგებობაა (არქიტექტურული ძეგლი);



ეზო – სახლის უკან ოთხივე მხრივ ნაგებობებით შემოზღუდული მართკუთხა ეზოა.

გეგმა – ნაგებობის გეგმარება მართკუთხა ფორმისა (30.90X16.40Xh-11.77მ). ფასადი ქუჩიდან ზედა სართულზე გარშემორტყმული იყო ხის ღია, მოგვიანებით ლითონის მოაჯირიანი აივნით. ეზოდან ორივე სართულზე ჰქონდა ხის ღია გალერეა-აივანი. შუაში ქუჩის მხრიდან აქვს კიბის უჯრედი, რომელსაც ჰქონდა მარტივი სადარბაზო კარი. კარი ამჟამად ამოშენებულია.



ფონდი №204, საქმე №403

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია თბილისის საგუბერნიო სამშენებლო კომისიის №204 ფონდის, 1846 წლით დათარიღებული საქმე №403 – „მ. ახუნდოვის სახლის გეგმა“, სადაც მოცემულია სავაჭრო სათავსოებიანი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის დამტკიცებული პროექტი – I სართულის გეგმა, ფასადი და ჭრილი, მდებარე თბილისის II ნაწილის IV კვარტალში. პროექტი შედგენილია საგუბერნიო არქიტექტორის თანაშემწის მიერ (გვარი გაურჩეველია). პროექტი დაამტკიცა საგუბერნიო არქიტექტორმა ბელოიმ. შენიშვნაში აღნიშნულია, რომ ქუჩის მხრიდან გათვალისწინებულია აივნის, ხოლო ეზოს მხრიდან გალერეის მოწყობა. ხელს აწერს მირზა ფათალი ახუნდოვიც, რომ იგი ვალდებულებას იღებს სახლი ააგოს ამ პროექტში მოცემული გეგმითა და ფასადით.

ამ პროექტში გამოსახული ფასადი და გეგმა განსხვავდება მირზა ახუნდოვის დღეს არსებული სახლისგან, თუმცა გაბარიტებით იგი ზუსტად იმეორებს დღევანდელი სახლის აღმოსავლეთი ფლანგის ზომებს. პროექტით სახლი 9.3 X 6.5 h 4.5 საჟენია, რაც უდრის 19.84X14.08-h 9.6 მ-ს. ნაგებობის აღმოსავლეთი ფლანგის დღევანდელი ზომები კი 19.99X14.15 h 9.55მ-ია პარაპეტამდე, რაც ზუსტად შეესაბამება საჟენებში მოცემულ ერთეულებს.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია თბილისის გარეუბნების მოწყობის კომისიის №210 ფონდის, 1849 წლით დათარიღებული საქმე №104 – „მ. ახუნდოვისათვის ახალ კუკიაში მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ“, რომელიც 1856 წ. შტაბს-კაპიტანმა მირზა ახუნდოვმა მიჰყიდა თბილისელ მოქალაქე მეხთი აღა უსეინ ოღლის. ეს ნასყიდობის ფურცელი დამტკიცდა 1859 წელს. საქმე ისაა, რომ ქვის მთლელი მეხთი აღა, მირზა ახუნდოვის გვერდით ცხოვრობდა ხარფუხში და სახლიც ჰქონდა აგებული. სავარაუდოა, რომ მირზა ახუნდოვმა მეხთი აღას კუკიის ნაკვეთში მის მეზობლად მდგომი სახლი გაუცვალა და შემდეგ ეს ორი სახლი გააერთიანა ერთ ნაგებობად, რაც ჩანს კიდევაც ამ ნაგებობის ორივე ფლანგის კვლევისას. სახლების გაერთიანება სავარაუდოდ 1860-იანი წლების დასაწყისში უნდა მომხდარიყო. გაერთიანების დროს შეიცვალა მარცხენა ფლანგის ფასადი და ნაგებობამ ერთიანი სახე მიიღო. იხ. დანართი

სარდაფი – კამარულგადახურვიანი, მართკუთხა წაგრძელებული ფორმის, სარდაფია აღმოსავლეთ ფლანგის ქუჩისპირა ნაწილის ქვეშ. ასევე კამარულგადახურვიანი სარდაფია ნაგებობის პერიმეტრის გარეთაც, აღმოსავლეთ ფლანგის კუთხესთან. თავდაპირველი ჩასასვლელი კიბე სარდაფში ეზოს გვირაბიდან არის. მოგვიანებით ხის კიბე გამართეს პირველი სართულის აღმოსავლეთ ფლანგიდანაც. სარდაფის აგურის განიერ კედლებში (135სმ) მოწყობილია ქუჩის ფასადის მხარეს თახჩები და თაღოვანი სასინათლო ღიობებია. სარდაფი მოგვიანებით გადაგეგმარებულია. მოწყობილია ტიხრები.





სხვენი – სხვენი ხის თავხეებით და ნივნივებით არის შეკრული. ორქანობიანი სახურავი თუნუქით არის დაბურული. ქანობზე ეზოს მხარეს დატანილია ერთი სამერცხული. აღმოსავლეთ ფლანგის ცენტრალურ გრძივ ღერძზე აგურის წყობით ამოყვანილი შვიდი საბუხრე მილია. სხვენში ასასვლელი დატანილია აღმოსავლეთ ფლანგის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფლანგის ასევე აღმოსავლეთ განიერ კედლებში.



I სართული – ნაგებობის ფლანგების გეგმარება განსხვავებულია. აღმოსავლეთი ფლანგი ქუჩის მხარეს წარმოადგენს მოზრდილ წაგრძელებულ მართკუთხა დარბაზს, რომელიც თავდაპირველად ტიხრებით უნდა ყოფილიყო დაყოფილი სავაჭრო ან სახელოსნო დანიშნულებისათვის.. ქუჩის ფასადის მხარეს დარბაზის განიერ კედელში (145სმ) ხუთი თანაბარი ზომის მართკუთხა ღიობია დატანილი. ამ დარბაზის უკან, ეზოსკენ ოთხი სხვადასხვა ზომის ანფილადური ოთახია. საშუალო სიგანის კედელში (90სმ) აქ დატანილია აგურის შვეული წყობით გადაყვანილი ღიობები, რომლებიც ამჟამად ამოშენებულია. ამავე კედელში თითო ბუხარია ორ ცენტრალურ ოთახში. ეს ნაწილი ეზოს მხარეს მთლიანად სამეურნეო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო. მის წინ ეზოსკენ, მთელ სიგრძეზე ხის სვეტებიანი (შუა ნაწილში) გალერეა-აივანია, რომლისკენაც ანფილადური ოთახები გახსნილია მართკუთხა ღიობებიანი რიგით. ამ ფლანგის განივ კედლებში ღრმა მართკუთხა თახჩებია დატანილი.

დასავლეთ ფლანგზე, ეზოს გვირაბის მარჯვნივ პრაქტიკულად დამოუკიდებელი ნაგებობაა, რომლის პირველ სართულზე ერთი მოზრდილი მართკუთხა წაგრძელებული მოცულობაა, მოგვიანებით გადატიხრული სამ სხვადასხვა ზომისა და ფორმის სათავსოდ. ქუჩისკენ ორი, სხვადასხვა ზომის მართკუთხა ღიობია. სარკმლები გვერდით ფასადზე, დღევანდელი სახით, გვიან უნდა იყოს გაჭრილი, თუმცა თავდაპირველად შესაძლოა აქ მცირე ღიობები ყოფილიყო შუქის შემოსასვლელად. ეზოსკენ მოწყობილია ხის სვეტებიანი გალერეა-აივანი. აივნიდან აღმოსავლეთის განიერ კედელში მეორე სართულზე ასასვლელი კიბის უჯრედია.

ეზოში შესასვლელი მართკუთხა ღიობი ნაგებობის ცენტრალური ღერძიდან ოდნავ მარჯვნივაა. თავდაპირველად ეს იყო მონაკვეთი ორ დამოუკიდებელ ნაგებობას შორის და მათი გაერთიანების შემდეგ აქ მოეწყო ეზოში შესასვლელი გვირაბი. გვირაბის აღმოსავლეთ მონაკვეთში მეორე სართულზე ასასვლელი კიბის უჯრედია.



II სართულის გეგმა

II სართული – ორი ნაგებობის გაერთიანების შემდეგ, როდესაც ამოშენდა არე მათ შორის, ფასადს ერთიანი სახე შეუქმნა მის მთელ სიგრძეზე მოწყობილმა ღია კიდულმა აივანმა. მეორე სართული საცხოვრებელი დანიშნულებისაა. ფლანგების გეგმარება განსხვავებულია ამ სართულზეც. აღმოსავლეთი ფლანგი ქუჩის მხარეს წარმოადგენს ვიწრო ტიხარით ორ არათანაბარ მონაკვეთად გაყოფილ წაგრძელებულ მართკუთხა დარბაზს. ქუჩის ფასადის მხარეს დარბაზის განიერ კედელში (110სმ) ღია აივანზე გასასვლელი გარედან ტიმპანიანი და შიგნიდან თაღოვანი სამი კარი და რვა სარკმელია გაჭრილი. დარბაზის გვერდით კედლებში მართკუთხა თახჩებია დატანილი, ნაგებობის გრძივი ღერძის 1 მ. სიგანის კედელში კი ბუხარი. დარბაზის უკან, ეზოსკენ ვიწრო ტიხარიანი ორი მართკუთხა ანფილადური ოთახია. მარცხენა ოთახში ქუჩისპირა დარბაზის ბუხრის უკან კედლის ღუმელია მოწყობილი. ოთახების წინ ეზოსკენ, მთელ სიგრძეზე ხის სვეტებიანი (შუა ნაწილში) გალერეა-აივანია. აივნისკენ ანფილადური ოთახების კედელში, ქუჩის ფასადის მსგავსი სტრუქტურის, გარედან ტიმპანიანი და შიგნიდან თაღოვანი სამი კარი და რვა სარკმელია გაჭრილი. აღმოსავლეთი განივი კედელი ყრუა. მის სისქეში დატანილია სხვენზე ასასვლელი კიბე.

დასავლეთ ფლანგზე ორი წაგრძელებული ანფილადური მოცულობაა, მოგვიანებით გადატიხრული ოთხ მართკუთხა ფორმის სათავსოდ. სარკმლები გვერდით ფასადზე გვიან არის გაჭრილი. ეზოსკენ ერთი მოზრდილი დარბაზია. მის უკან კი ხის სვეტებიანი გალერეა-აივანი. საფასადო და ეზოს აივნისკენ აქაც მთავარი დარბაზის მსგავსი ღიობებია. აივნიდან აღმოსავლეთის განიერ კედელში სხვენზე ასასვლელი კიბის უჯრედია. ორ ნაგებობას შორის მოწყობილია წაგრძელებული დარბაზი, რომელშიც ამოდის კიბე პირველი სართულიდან.

გამოყენება

თავდაპირველი – აშენდა, როგორც საცხოვრებელი სახლი. I სართული გამოიყენებოდა სავაჭრო-სახელოსნოებად;

შემდეგი – გამოიყენებოდა როგორც საცხოვრებელი სახლი;

ბოლოდროინდელი – მირზა ფათალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმი;

სამშენებლო მასალები, კონსტრუქციები და დაზიანებები

კონსტრუქცია – თავდაპირველად ორი სხვადასხვა ზომის ორსართულიანი ნაგებობა მოგვიანებით საერთო გადახურვით გაერთიანებულია ერთ სტრუქტურად. აღმოსავლეთის ნაგებობა ეფუძნება აგურით ამოყვანილ სარდაფის მძლავრ საყრდენ კედლებს. დასავლეთი მონაკვეთის სარდაფი მოგვიანებით არის გაჭრილი.

საყრდენი კედლები შეკრულია ხის დაკუთხული მორების თარაზული და შვეული ქამრებით. ხის კოჭებისაა სართულშუა და სხვენის გადახურვები. თუნუქის სახურავი მოწყობილია ხის ნივნივებზე. ნაგებობის დასავლეთ მონაკვეთის და აღმოსავლეთ ფლანგის კედელში დატანილია მეორე სართულიდან სხვენში ასასვლელი ორი კიბე. ნაგებობის დასავლეთ მონაკვეთის აღმოსავლეთ კედელში პირველიდან მეორე სართულზე ასასვლელი კიდევ ერთი ვიწრო კიბეა დატანილი; ცენტრალური კიბის უჯრედი მოქცეულია ეზოში შესასვლელი გვირაბის აღმოსავლეთ ნაწილში;

სტრუქტურა და მასალა – ძირითადი სამშენებლო მასალაა ქართული აგური კირის ხსნარზე. სარდაფებში ქართულ აგურთან ერთად ფრაგმენტულად გამოყენებულია რიყის ქვაც, ისევე როგორც ირგვლივ მდებარე ნაგებობათა პირველ სართულებში. აგურის წყობისაა საბუხრე მილები. გადახურულია აგურისფრად შეღებილი თუნუქით. გადაკეთების დროს გამოყენებულია სხვადასხვა სახის მასალა: აგური, ბლოკის ქვა, რკინა-ბეტონი, ლითონი.


სხვენის კიბე

ხის მასალაა გამოყენებული სართულშუა გადახურვების, სართულშუა „ქამრების“, თარაზულ ღიობთა ზედანებისა და მოჩარჩოებისთვის. .

დაზიანებები – დაზიანებულია საფასადო შელესილობ. დაზიანებულია სარკმლებისა და შესასვლელების აგურის წყობა ნაგებობის სამხრეთ ფლანგზე, ეზოსკენ. დაზიანებულია ეზოსკენ მიმართული ხის გალერეა-აივნები და მეორე სართულზე ასასვლელი ხის ღია კიბე, ასევე კიბის უჯრედები ჩაშენებული განიერ კედლებში. დაზიანებულია ბუხრები და კედლის ღუმელის სისტემები;

საყრდენი კედლები – ამოყვანილია აგურით;

კედლების სტრუქტურა – კირ-დურაბით შეკრული აგურის მკვიდრი წყობა;

სართულშუა გადახურვა – სართულშუა და სხვენის გადახურვებიც ხის კოჭებისაა.

სახურავი – ორქანობიანი, ხის ნივნივებზე მოწყობილია თუნუქის სახურავი;

ფასადები:

თავდაპირველი სახე – სახლს ჰქონდა თანადროული ეპოქისათვის შესატყვისი საფასადო სტრუქტურა – „კლასიცისტური“ ფასადით ქუჩაზე და „თბილისურით“ ეზოს მხრიდან. ქუჩის მხარეს გამოდიოდა შელესილი ქართული აგურის მკვიდრი წყობა, პირველ სართულზე დასახსრული მართკუთხა ღიობებით, ხოლო მეორე სართულზე სანდრიკებით მორთული თაღოვანი სარკმლებით. მეორე სართულზე (ალბათ ხის კრონშტეინებზე) ნალეს კრონშტეინებზე შეკიდული იყო ლითონის ჭვირულ სახეებიანი ღია აივანი, დასავლეთ ფლანგზე კი დატანილი იყო ცალკე მოცულობა ლითონის წინფრიანი სადარბაზო შესასვლელით და ტერასით. ფასადი ზევით სრულდებოდა შვერილი ლავგარდანითა და მარტივი პარაპეტით.



1846წ. პროექტი

იმ დროისთვის ქუჩის ნიშნული დაბლა იყო და სარდაფის სასინათლო ღიობები ტროტუარის ზემოთ გამოდიოდა, ხოლო სადარბაზოში სამსაფეხურიანი კიბით ავდიოდით.



დღევანდელი სახე – ფასადს ერთიანი სახე შეუქმნა მთელ სიგრძეზე მოწყობილმა ღია კიდულმა აივანმა. ცალქანობიანი სახურავით დასრულებული აივანი თავიდან ხის იყო. ამჟამად კი მოაჯირი ლითონის აქვს, მარტივი ცხაურით და ლითონისავე კრონშტეინებზეა შეკიდული. შელესილი ფასადი არქიტექტურულიად გააერთიანა ტიმპანიანი, ნალესი თავსართებიანი სარკმლების და აივანზე გამოსასვლელი კარების რიგმა. ღიობთა შორის არეები გადანაკეცებით და პროფილირებული ლავგარდანებით არის მორთული. ფლანგებს შორის არე თავდაპირველად ღია უნდა ყოფილიყო, ამჟამად კი შემინულია ექვსალათიანი შუშაბანდით.







ეზოს მხრის ფასადზე, ორსავე სართულზე ხის ღია გალერეა-აივნებია. პირველ სართულზე კუთხეებგათლილი სვეტებია მეორე სართულზე კი მრგვალი. აივნების მოაჯირები არ არის შემორჩენილი. სავარაუდოა, რომ მეორე სართულის აივანს მრგვალი რიკულები ჰქონდა, ხოლო პირველი სართულისას – მოხარატებული. ღია გალერეა-აივანი ეზოს მხარეს მოჩანს საარქივო ფოტოზე.



სახლი ეზოს მხრიდან, XIX ს-ის II ნახ



გვერდითი ფასადი, 2010წ.

ნაგებობას გვერდითი დასავლეთი ფასადიც დამოუკიდებლად აღქმადია. იგი მეზობელ ეზოში გადის და თავდაპირველად ყრუ იყო. ზედა მარჯვენა ფოტოზე ჩანს, რომ მასზე გამოსახული გვერდითი ფასადი გადაკეთებულია. ამჟამად გაჭრილია განსხვავებული ზომისა და ფორმის სარკმლები. ასევე ბოლო დროს არის გალესილი კედლის მარცხენა მონაკვეთი.

დასავლეთი ფასადის თავდაპირველი სახე ჩანს XIX ს-ის დასასრულის ზედა მარცხენა საარქივო ფოტოზე, რომელზეც გამოსახულია სახლის დასავლეთ ფასადის ზედა ნაწილი.

ნაგებობა მეოთხე მხრიდან მიდგმული იყო მეზებლად მდგომ სახლზე. თუმცა მისი აგურის ფრონტონი ახლაც თავისუფალია, რადგან უფრო დაბალ სახლზეა მიბჯენილი.

ინტერიერი:

ნაგებობის არსებობის მანძილზე ინტერიერში ბევრჯერ ჩატარებულა გადაკეთებები და რემონტი, თუმცა ძირითადი სტრუქტურული სახე შენარჩუნებულია.

სარდაფის ინტერიერი – კამარულგადახურვიან, მართკუთხა წაგრძელებული ფორმის, სარდაფების კამარები ოსტატურად არის გადაყვანილი აგურის დალიანდაგებული წყობით. ოსტატურად არის გადაყვანილი ასევე თაღები და ქუჩისპირა სასინათლო ღიობები. სარდაფი მოგვიანებით გადაგეგმარებულია. მოწყობილია ტიხრები. აქ უკანასკნელ დროს სასაუზმე იყო მოწყობილი. სარდაფის ბოლო მონაკვეთის კამარა შელესილია, კედლები კი შეღებილი. თაღოვანი სასინათლო ღიობები ამოშენებულია ტროტუარის დონის აწევის გამო.

















I სართულის ინტერიერი – ამჟამად ნაგებობის აღმოსავლეთ ფლანგზე, ქუჩის მხარეს წაგრძელებული მართკუთხა დარბაზია. ინტერიერი მხატვრული გაფორმებიდან აღარაფერია შემორჩენილი. აგურის წყობის დარბაზის კედლები თავიდანვე ჭესალესად იყო გათვალისწინებული. დროთა განმავლობაში აქ რამდენჯერმეა ჩატარებული რემონტი და გადაკეთებები. აგურის ახალი წყობით არის ამოყვანილი შესასვლელთა წირთხლები ქუჩის მხარეს. შესასვლელთა ზედა ნაწილები რკინა-ბეტონით არის გამაგრებული. იატაკზე დაგებულია ახალი ფილები. ჭერი შელამფული უდა ყოფილიყო (ამჟამად აღარ არსებობს).


დარბაზი ქუჩის მხარეს


დარბაზი ქუჩის მხარეს


ბუხარი


ოთახი ეზოსკენ


ოთახი ეზოსკენ

გადაკეთებულია ოთახების ინტერიერი ამავე ფლანგის ეზოს მხრის ნაწილშიც. თუმცა კედლების წყობის მხატვრული ფორმები და მათი ფერთა გამა მეტადაა შემორჩენილი. ამ ნაწილში, როგორც ჩანს კედლები აგურის შეულესავი წყობისა უნდა ყოფილიყო. შემორჩენილია ასევე შელამფული ჭერი. სიბრტყეზე ნაწყობი აგურის ფილების მონაკვეთები აგურის დანარჩენ თარაზულ წყობასთან კარგად იყო მორგებული და შეთანხმებული.

II სართულის ინტერიერი –


ცენტრალური დარბაზი




სამუზეუმო ექსპოზიცია


ბუხარი.


დარბაზი ეზოს მხარეს


კედლის ღუმელი.

მრავალჯერ არის ჩატარებული რემონტი და გადაკეთებები II სართულის ინტერიერშიც. თავდაპირველი მხატვრული სახეებიდან შემორჩენილია მხოლოდ ღიობთა ფორმები, ბუხარი და კედლის ღუმელი თეთრი შორენკეცით. კედლები აქ თავიდანვე შელესილი უნდა ყოფილიყო ხოლო ჭერი შელამფული. მოგვიანებით კედლებსა და ჭერზე გაჩნდა ნალესი ლავგარდანები და ვარდულები., ასევე თაღოვანი გასასვლელები და პარკეტის იატაკი.



ჰოლი, ქუჩისკენ



შელამფული ჭერი



ქვედა კიბე.



ზედა კიბე.



ჰოლი, ეზოსკენ



ზედა კიბე.

ნაგებობის ცენტრალურ მონაკვეთში მარტივი კიბის უჯრედით ავდივართ ჰოლში. თავდაპირველად მას ერთგვარი ღია ჰოლის სახე უნდა ჰქონოდა. იგი გახსნილი იქნებოდა ქუჩის აივნისკენ და შესაძლოა ეზოს მხრის გალერეა-აივნისკენაც. ამ ნაწილში დასავლეთი ფლანგის კედელს აივნის კუთხეში გადანაკეცი კარნიზი აქვს, რაც ავლენს რომ ეს კედელი დამოუკიდებელი ნაგებობის ფასადი უნდა ყოფილიყო. ამჟამად ჰოლი ქუჩის აივნისკენ შუშაბანდით არის შეკრული, ეზოს გალერეა-აივანს კი შკავშირდება კარით.

ინტერიერის შემადგენელი ნაწილებია განიერ კედლებში მოქცეული, სხვენზე ასასვლელი ორი კიბის უჯრედი.

დასკვნა და რეკომენდაციები

საარქივო და ადგილზე ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა შემდეგი:

1. შენობის ინტერიერის მხატვრული სახე და ფორმა პრაქტიკულად მთლიანად არის შეცვლილი.

2. სარდაფში მოეწყო სასაუზმე შეილესა სარდაფის ბოლო მონაკვეთის აგურის წყობის კამარა და კედლები. დაემატა პირველი სართულიდან ჩასასვლელი ხის კიბე და მართკუთხა დამხმარე სათავსო.;

3. აგურის ახალი წყობით ამოშენდა პირველი სართულის ქუჩისპირა დარბაზის შესასვლელი ღიობების წირთხლები. დაიგო ახალი ფილების იატაკი. ამოშენდა ღიობები გამავალი ეზოს მხრის ფლანგში;

4. შეცვლილია ასევე საფასადო მხარე, როგორც ქუჩის ასევე ეზოს მხრიდანაც;

5. ქუჩის აივნის მხარეს მეორე სართულზე ცენტრალური ჰოლი შეიმინა შუშაბანდით. ქუჩის პირა დარბაზებში ჩატარდა რემონტი. გაკეთდა ლითონის მოაჯირიანი ახალი აივანი;

6. ეზოს მხრის სამხრეთ ფლანგზე გადაკეთდა და ამოშენდა ოთახების ღიობები და თახჩები;

ამგვარად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაგებობის ღევანდელი სახე XX ს-ის ბოლო პერიოდის რესტავარცია-ადაპტაციის შედეგია.

თუმცა უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც. ახალ ნაგებობაში გამეორებულია ძველი გაბარიტები, ასახულია თავდაპირველის არქიტექტურული სტილისტიკა და გამეორებულია ასევე XIX-XX სს-თა მიჯნის თბილისის ზოგადი მხატვრული ესთეტიკა.

ამგვარად, ეს სახლი არის ორი ნაგებობის გაერთიანების შედეგად მიღებული შენობა, რომელმაც ჩვენამდე გადაკეთებული სახით მოაღწია. ამ შენობაში ამჟამად მირზა ფათალი ახუნდოვის მუზეუმია. მისი ძირითადი არქიტექტურული სახე იყო ხის ღია აივანი ქუჩის კლასიცისტური ფასადის მეორე სართულზე, ხოლო ეზოს მხრიდან ორთავე სართულზე შემოფარგლული ასევე ხის გალერეა-აივანი.

ნაგებობა დაზიანებულია. სასურველია ნაგებობების რესტავრაცია, რათა აღდგეს თავდაპირველი კონსტრუქციული კვანძები და ყურადღება მიექცეს იმ არქიტექტურულ ფასეულობათა დაცვას, რაც ახასიათებს ამ ნაგებობას. ამ სახლის ძირითად არქიტექტურულ მახასიათბლებთან ერთად დასათვალისწინებელია ისტორიული ასპექტიც.

ამავე დროს უნდა განისაზღვროს თუ რა ფუნქციური დანიშნულება მიეცეს სარდაფებსა და პირველი სართულის ოთახებს.

ამასთან, ვინაიდან ნაგებობების სახე იცვლებოდა დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანია დადგინდეს მშენებლობის ის ეტაპი რომელიც მეტად შეესაბამება ამ უბნის მხატვრულ-არქიტექტურულ ხასიათს და ხელსაყრელი იქნება დღევანდელი ფუნქციური მოთხოვნილებებისათვის.

გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია ადაპტაციური მიდგომაც დღევანდელი მოთხოვნილებების შესაბამისად და ზოგადი მხატვრულ-არქიტექტურული სახის დაურღვევლად.

ამგვარად რეაბილიტაციის მიზანი უნდა იყოს ნაგებობის სამშენებლო ფენების და მათი არქიტექტურული ღირებულების დადგენა, ასევე თავდაპირველი მხატვრული სახეების გამოვლენა, თავდაპირველი სახით აღდგენისათვის და რიგ შემთხვევაში ადაპტაცია თანამედროვე ფუნქციურ მოთხოვნათა შესაბამისად, არქიტექტურული ძეგლის ავთენტური სტრუქტურისა და მხატვრული სახის დაცვით;

იმ შემთხვევაში თუ გათვალისწინებული იქნება ნაგებობის ხელახლა შეღებვა, აუცილებელი იქნება მთავარი ფასადის ნალესობის ლაბორატორიული ანალიზი თავდაპირველი ფერის დასადგენად და თავდაპირველი ფერის დაბრუნება, თუმცა არსებული დაფერილობაც სათანადოა;

შესაძლებელი ჩანს მთავარი შენობის დასავლეთის გვერდითი ფასადის მხატვრული სახის ცვლილება ერთიანი მხატვრული კონტექსტის დაცვით. შესაძლებელი ჩანს აქ აგურის წყობის შელესვა;

ინტერიერებში შესანარჩუნებელია ზოგადი გეგმარება და კონსტრუქციები (კამარები, თაღედები, კედლებში დატანილი კიბის უჯრედები). დასაშვებია ნაწილობრივი გადაგეგმარება (მაგ. პირველი სართულის დარბაზის და სხვ.), ვინაიდან ძველი მხატვრული გაფორმება არ არის შემორჩენილი დასაშვები ჩანს ახალი მხატვრული სახეების დაპროექტება, ამგვარი გარემოსთვის დამახასიათებელი ტრადიციული თემატიკითა და ფორმით;

მნიშვნელოვანია სარდაფში ნალესობის მოხსნა კამარასა და კედლებიდან და მისი თავდაპირველი სახით აღდგენა; ასევე ბუხრებისა და კედლის ღუმელის აღდგენა;

მართკუთხა ღიობების ალათები პირველი სართულის ფასადზე ქუჩის მხარეს აუცილებლად უნდა აღდგეს შენობის თანადროული არქიტექტურული ესთეტიკის მქონე ალათებით;

მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს პირველი სართულის ოთახების აგურის შეულესავი წყობა და ასეთივე სახით აღდგეს კედლებისა და თაღჩების დაზიანებული ნაწილები;

ასევე აუცილებელია რესტავრაციის დეტალური პროექტი, როგორც არქიტექტურული ნაწილის ასევე მხატვრული სახის ესკიზების წარმოდგენით;

სასურველია პროექტირებაში ატქიტქტორ-რესტავრატორთა მონაწილეობა.

ასევე რეკონსტრუირებული მოცულობის ფასადების მხატვრული სახე, რიტმული დანაწევრება და ფერადოვნება არ უნდა არღვევდეს უბნის ამ მონაკვეთის ჩამოყალიბებულ ხასიათსა და მხატვრულ მთლიანობას – სიფრთხილეა საჭირო უბნისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული ესთეტიკის (ხის ფაქტურის აივნები, აფერადებული ფასადები) გამეორებისას, რათა ფასადებმა არ შეიძინოს ბუტაფორიული ელფერი.

ხელოვნებათმცოდნე – **გია ჭანიშვილი**
20. 06. 2010